

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

ბრძანება № 01-08/169

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

21 ნოემბერი, 2018 წელი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი  
პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის  
ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“ (დანართი 1).
2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის  
21 ნოემბრის N 01-08/169 ბრძანების  
დანართი 1

*(კოდიფიცირებული: ცვლილებებით და დამატებები:  
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-02/15 და  
2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/180 ბრძანებებით)*

**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი  
პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის  
ანაზღაურების გაცემის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი (შემდეგში – „წესი“) შემუშავებულია „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების საფუძველზე.
2. წესის მიზანია დაადგინოს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის - პროფესიული განათლების მასწავლებლების (შემდეგში „მასწავლებელი“) შერჩევის (სამსახურში მიღების), სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გაცემის წესი.
3. წინამდებარე წესის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში „ცენტრი“).

**მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი**

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებს/სასწავლო კურსებს წარმართავს ამ წესის შესაბამისად მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლები.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი. *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-02/15 ბრძანებით).*
3. მასწავლებელთა შერჩევა ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელისა და ცენტრის მიერ, ერთობლივად (შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, კანდიდატების კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით). თუკი ამ წესით ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, მასწავლებელთა შესარჩევად ცხადდება ღია კონკურსი.

4. მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო მოდულის დასახელება და შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში, პროგრამის შემუშავების/პირველადი განხილვის თარიღი, პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენის სავარაუდო თარიღი, პროგრამაზე მიღების გამოცხადების სავარაუდო თარიღი.

5. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით.

6. ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ამ წესით შერჩეულ მასწავლებელთან ფორმდება პირობითი შრომითი ხელშეკრულება, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

7. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (საგაზაფხულო ან საშემოდგომო მიღების შედეგად) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის (მოდულების/სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით, ამ წესით შერჩეულ მასწავლებლებს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განესაზღვრებათ სამუშაო დატვირთვა.

8. მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის თითოეული მასწავლებლის მიერ ხელმოწერილი ე.წ. „შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“ (შემდეგში „შეთანხმება“, შევსებული წინამდებარე წესზე თანდართული N1 ფორმის შესაბამისად).

9. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებული შეთანხმების ფორმა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას („ა“-დ“ პუნქტები (შეთანხმების პირველი გვერდი) ივსება მასწავლებლის მიერ, ხოლო „ე“-„ო“ პუნქტები - ცენტრის მიერ (შეთანხმების მე-2 გვერდი)):

- ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა;
- ბ) განათლება (დაწყება/დასრულების თარიღი), ინფორმაცია აკადემიური ხარისხის შესახებ, კვალიფიკაცია და პროფესიით მუშაობის გამოცდილება (წლები);
- გ) პროფესიული განათლების მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი ფაქტობრივი/იურიდიული, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი);
- დ) სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის და თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური;

ვ) პროგრამის მოქმედების პერიოდი;

ზ) პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი;

თ) პროგრამის განხორციელების (სამუშაო) ადგილი;

ი) მოდულის/სასწავლო კურსის დასახელება;

კ) მოდულის/სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი და ადგილი;

ლ) პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, სტუდენტთა რაოდენობა, სალექციო და პრაქტიკული ჯგუფების რაოდენობა, სულ საათები, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობა (ლექცია, პრაქტიკული/ლაბორატორიული, შეფასება), სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა;

მ) სამუშაო საათების განაწილება წელის/თვეების მიხედვით;

ნ) ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა;

ო) სწავლის შედეგების დადასტურების კვირა/თარიღი და საათები სულ;

პ) უფლებამოსილი პირების (პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის, ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და ცენტრის დირექტორის) ხელმოწერები, თარიღი და ცენტრის ბეჭედი.

10. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე ბსუ-ს პროფესიული მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან (ვისთანაც უკვე გაფორმებულია პირობითი შრომითი ხელშეკრულება ან უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება) წინასწარ კომუნიკაციას და მათ მიერ „შეთანხმების“ ფორმების შევსებას, რითაც დადასტურებულად ჩაითვლება სამუშაო დატვირთვის შესრულებაზე ამ პირთა მზაობა. *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-02/180 ბრძანებით).*

11. იმ შემთხვევაში, თუკი ამ წესით შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებელი უარს განაცხადებს „შეთანხმების“ ფორმის შევსებაზე და შესაბამისად, მოდულის წარმართვაზე, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, შესაძლებელია სხვა საუკეთესო მონაცემების მქონე სპეციალისტის ან კონკურსში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე სხვა კონკურსანტი მოწვეული იქნეს მასწავლებლად ან გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.

12. შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში (თუკი ობიექტური გარემოების გამო კონკურსის ჩატარება დააყოვნებს სასწავლო პროცესის დაწყებას), დასაშვებია იმ პირის მოწვევა მასწავლებლად, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება აკმაყოფილებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის (რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი) გაუქმება, შეიძლება გახდეს ამ მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

### მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა

1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (მისი დანართით) განისაზღვრება განსახორციელებელი მოდული (მისი კომპონენტი), შესასრულებელი სამუშაოს სახე (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული), სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში, სამუშაოს შესრულების პერიოდი, სამუშაოს შესრულების ადგილი და შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის სხვა საჭირო ინფორმაცია.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში, გარდა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული და სასწავლო გეგმების/ცხრილების შესაბამისად ჩასატარებელი სააუდიტორიო/საკონტაქტო სამუშაოებისა (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული), შედის:

ა) სტუდენტთა შეფასება (შეფასების ინსტრუმენტების შექმნა; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება);

ბ) პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა და მოდულის დასრულებისთანავე ცენტრისათვის გადაცემა;

გ) შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების შესრულება (თუკი ასეთს ითვალისწინებს);

დ) ბსუ-ს მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებზე დასწრება და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;

ე) მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ცენტრისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის მითითებების/სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, მისი გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ცენტრის მიერ ეგზავნება შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, მათ მიერ შრომით ხელშეკრულებაში/შეთანხმებაში აღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო წერილის ასლი - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ელექტრონულ ფოსტაზე - [bsu-hr@bsu.edu.ge](mailto:bsu-hr@bsu.edu.ge)). *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-02/15 ბრძანებით).*

4. პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ცენტრის მიერ დაეგზავნება შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ ბსუ-ს სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ სამართლებრივი აქტები (შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, სხვადასხვა რეგულაციებში). *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-02/15 ბრძანებით).*

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაცემა

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურება (ტარიფი) განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც აისახება მასწავლებელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულებში განსაზღვრული თითოეული შედეგის/მოდულის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 1 თვისა, ავსებს „შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადს“ (ამ წესის თანდართული ფორმა 2-ის შესაბამისად) და დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან (პროფესიული სტუდენტის აღრიცხვის ფურცელი; სტუდენტის შეფასების უწყისი) ერთად წარუდგენს ცენტრს (მათი მიღება ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში. პირადად გადაცემის შემთხვევაში ჟურნალში ხელს აწერს ასევე მასწავლებელი, ხოლო დოკუმენტაციის მასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადმოგზავნა აღირიცხება ჟურნალში).
3. ცენტრი ახდენს წარდგენილი „შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადისა“ და თანდართული დოკუმენტების დამუშავებას (დამუშავებას/მონიტორინგს ახორციელებს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი) და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ამზადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტს შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურების გაცემის შესახებ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის

ფორმა 1

(პირველი გვერდი)

„შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
მოქალაქეობა	
განათლება (დაწყება/დასრულების თარიღი), ინფორმაცია აკადემიური ხარისხის შესახებ, კვალიფიკაცია	
პროფესიით მუშაობის გამოცდილება (წლები) და სამუშაო ადგილი (დაწესებულება)	
ბსუ-ში მუშაობის გამოცდილება (წლები და მოქმედი შრომითი ხელშეკრულების ნომერი)	

<p>სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის და თავშესაფრის მამიებლის სტატუსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევილის სტატუსი (არსებობის შემთხვევაში ხაზი გაუსვით შესაბამის სტატუსს);</p>	
<p>მასწავლებლის ფაქტობრივი მისამართი</p>	
<p>მასწავლებლის იურიდიული მისამართი</p>	
<p>მასწავლებლის ელექტრონული ფოსტა</p>	
<p>მასწავლებლის ტელეფონი</p>	
<p>მასწავლებლის ხელმოწერა</p>	

**„შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საფეხური) ---  
-----

პროგრამის განხორციელების ვადები -----:

პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი -----

პროგრამის განხორციელების ადგილი (მისამართი) -----

პროფესიული განათლების მასწავლებელი (გვარი, სახელი) -

#	მოდულის/სასწავლო კურსის დასახელება	მოდულის/სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი და ადგილი (მისამართი)	სტუდენტთა რაოდენობა	საღმწევრო ჯგუფის რაოდენობა	პრაქტიკული ჯგუფის კრედიტი	სულ საათები	მათ შორის ასანაზღაურებელი საათები	საათების განაწილება წლების/თვეების მიხედვით																სწავლის შედეგების დადასტურების კვირა																
								წელი								წელი																								
								სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი																						
ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	ლექცია	პრაქტიკული	შეფასება	შედგენი 1	შედგენი 2	შედგენი 3	შედგენი 4	შედგენი 5	შედგენი 6	შედგენი 7	შედგენი 8	შედგენი 9	შედგენი 10	საათების												
1																																								0
2																																								0
სულ																																							0	

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი:

ბ.ა

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი(ებ):

პროფესიული განათლების მასწავლებელი:



თარღი:

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი  
პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის  
ანაზღაურების გაცემის წესის

ფორმა 2

„შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადი“ (გვერდი პირველი)

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	
ბსუ-ში მოქმედი შრომითი ხელშეკრულების ვადა და ნომერი	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საფეხური)	
მოდული/სასწავლო კურსი და მისი კომპონენტი	
მოდულის/სასწავლო კურსის დაწყებისა და დასრულების თარიღი	
პროფესიული სტუდენტების ჯგუფების რაოდენობა	
პროფესიული სტუდენტების რაოდენობა თითოეულ ჯგუფში	
ჩატარებული სამუშაო - ლექცია/თეორიული (სთ-ების რაოდენობა)	
ჩატარებული სამუშაო - პრაქტიკული/ლაბორატორიული (სთ-ების რაოდენობა)	
შესრულებული სამუშაოს (სთ- ების) საერთო რაოდენობა	
შენიშვნა	
წინამდებარე განაცხადის შევსების თარიღი	
მასწავლებლის ხელმოწერა	
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ხელმოწერა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ვადასტურებ</li> <li>○ არ ვადასტურებ (განიმარტება მიზეზი) -----</li> <li>-----</li> <li>-----</li> <li>-----</li> </ul>
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის ხელმოწერა	

განაცხადის ცენტრის მიერ დამოწმების	
---------------------------------------	--

თარიღი

**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი  
პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის  
ანაზღაურების გაცემის წესის**

ფორმა 2

**„შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადი“ (გვერდი მე-2)**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საფეხური)-----

მოდული -----

შეფასების ინსტრუმენტები	დადასტურების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	თანდართული დოკუმენტები
სწავლის შედეგი 1:		
სწავლის შედეგი 2:		
სწავლის შედეგი 3:		
სწავლის შედეგი 4:		
სწავლის შედეგი 5:		
სწავლის შედეგი 6:		
სწავლის შედეგი 7:		
სწავლის შედეგი 8:		
სწავლის შედეგი 9:		
სწავლის შედეგი 10:		

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ები \_\_\_\_\_

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი  
განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:

პროფესიული განათლების მასწავლებელი \_\_\_\_\_